# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 378

„2" ოქტომბერი 2015 წ

ქ. თბილისი

**„ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ 26.10.2010 წელს გაფორმებული ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" 2011 წლის 15 აპრილს შპს „არმლენდერ ასოშიეტსსა" და ქალაქ თბილისის მთავრობას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დაკისრებული და მხარეთა შორის, საბოლოო შეთანხმების მიღწევამდე, დასაკირებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 75-ემუხლის „დ.ვ" პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 30 სექტემბრის №39.14.1127 განარგულებით გათვალისწინებული „ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ 26.10.2010 წელს გაფორმებული ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" 2011 წლის 15 აპრილს შპს „არმლენდერ ასოშიეტსსა" და ქალაქ თბილისის მთავრობას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დაკისრებული და მხარეთა შორის საბოლოო შეთანხმების მიღწევამდე, დასაკირებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე   გიორგი ალიბეგაშვილი